გეომედი ლაიფი Geomedi Life

№15 (16) 2024 წელი უნივერსიტეტ გეომედის ყოველკვარტალური გაზეთი

26-28 სექტემბერს უნივერსიტეტ გეომედის ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტმა ლუკა იაკობიძემ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაზე ,,მშვიდობა და მთის მდგრადი ტურიზმი - გამოწვევები და შესაძლებლობები". ღონისძიება ჩატარდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომელიც მიეძღვნა ტურიზმის მსოფლიო დღეს. კონფერენციის მიზანი იყო ქართველი და უცხოელი სტუდენტების თანამშრომლობის ხელშეწყობა, ინოვაციური იდეების გენერირება და ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება სტუდენტებს შორის.

ლუკა იაკობიძის მიერ წარდგენილმა თემამ: ,,სამკურნალო - რეკრეაციული ტურიზმის რესურსების გამოყენების მენეჯმენტის ეფექტიანობა'' დამსწრე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი სტუდენტები. ასევე მეცნიერები საქართველოდან, იტალიიდან, კანადიდან და გერმანიიდან. გაიმართა საინტერესო დისკუსია თემაზე ,,მთის ტურიზმის მდგრადი განვითარების გლობალური და ადგილობრივი გამოწვევები''.

დასკვნით ღონისძიებაზე შეჯამდა კონფერენციის შედეგები. საუკეთესო სამეცნიერო, თემატური თუ ონლაინ მოხსენებების ავტორებს გადაეცათ პრიზები.

უნივერსიტეტ გეომედში მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტის რიტიკა ბჰატიას ინიციატივით შეიქმნა ორგანიზაცია ,,Medlink Society,'' რომელიც მიზნად ისახავს სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებს შორის კვლევის, პრეზენტაციისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებას. საზოგადოების ძირითადი აქტივობებია:

- ტრენინგები აბსტრაქტების წერის შესახებ, რომლის დროსაც სტუდენტები სწავლობენ საინტერესო აბსტრაქტების დაწერის ტექნიკას.
- კვლევის პრეზენტაციები: ყოველთვიური ღონისძიებები სტუდენტებისთვის, რათა წარმოადგინონ და დახვეწონ თავიანთი კვლევითი პროექტები.
- პუბლიკაციების, კვლევებისა და სტატიების გამოქვეყნება ყოველწლიურ ბიულეტენში.

,,Medlink საზოგადოების ფარგლებში უკვე გვქონდა რამდენიმე ნაყოფიერი ღონისძიება. პირველი შეხვედრა 20 მაისს გაიმართა, რომელიც გაცნობითი ხასიათის იყო და მიზნად ისახავდა გუნდის, საზოგადოების მისიისა და სამომავლო გეგმების პრეზენტაციას უნივერსიტეტის სტუდენტებისა და სხვა წარმომადგენლებისათვის. მომდევნო ტრენინგი - ვებინარი აბსტრაქტების წერის შესახებ ჩავატარეთ 5 ივნისს, რომელშიც მონაწილეობდა უნივერსიტეტ გეომედის მოწვეული პროფესორი ანჯუმ პერვეზი და პროფესორი პერვეზ აბდულ რაზაკი. მათ ისაუბრეს პრაქტიკისა და ტექნიკის შესახებ, რომელიც აბსტრაქტს ხდის სტრუქტურირებულს და ეფექტურს. ვებინარმა დიდი მოწონება დაიმსახურა. მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

2 ივლისს ღონისძიება გაიმართა დიაბეტის სიმპტომების, მართვის, უახლესი და პრაქტიკული მიღწევების შესახებ. შეირჩა სამი საუკეთესო აბსტრაქტი და მათ ავტორებს: პურავ აჭლავატს, შარვარი პრასად კადამს და ჯოან სუზან ზაქარიასს მიეცათ შესაძლებლობა წარმოედგინათ თავიანთი თემები. შეხვედრა იყო ინტერაქტიული. როგორ მომხსენებლებს, ასევე მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

ბოლო შეხვედრაზე 7 აგვისტოს აბსტრაქტების სრულყოფაზე ვისაუბრეთ. ეს იყო ერთგვარად უკუკავშირის სესია, რომლის დროსაც დამსწრეებს მიეცათ პერსონალიზებული რჩევები, თუ როგორ გააუმჯობესონ ნაშრომები, რაც მათ გახდით უფრო ეფექტურს ჟურნალებსა და კონფერენციებში წარდგენისას.

ვფიქრობ, ამ ღონისძიებებმა ხელი შეუწყო კვლევის პრაქტიკის უფრო ღრმა გაგებას, კვლევის უნარების განვითარებას. ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას ამ კუთხით და იმედი გვაქვს, ეს სტუდენტური ინიციატივა რაც შეიძლება ბევრ სტუდენტს გააერთიანებს. დაინტერესებულ სტუდენტებს შეუძლიათ შემოგვიერთდნენ, ამისათვის დაგვიკავშირდით: medlink@geomedi. edu.ge. ასევე, ეწვიეთ ჩვენს ინსტაგრამ გვერდს: Medlink_Geomedi. შემოგვიერდით და გაიუმჯობესეთ აკადემიური უნარები.''

რიტიკა ბჰატია - მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი, ''Medlink Society''-ის დამფუძნებელი.

უნივერსიტეტ გეომედში მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტის ნიტჰია ვინოდ მეემპატის მიერ შეიქმნა SAS - სტუდენტთა აკადემიური საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტთა ჩართვას აკადემიურ თუ კარიერასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ გამართულ დისკუსიებში.

მათი ორგანიზებით პერიოდულად იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები. სტუდენტთა აკადემიური საზოგადოების ორგანიზებით 21 ოქტომბერს გეომედის რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, ზურაბ ცეცხლაძემ სტუდენტებისათვის ჩაატარა ღია ლექცია. ლექციის ფარგლებში განხილული იყო ფუნდამენტური ბიოსამედიცინო და კლინიკური კვლევების ტიპები და დაგეგმვის თავისებურებები.

ლექციამ დიდი ინტერესი გამოიწვია სტუდენტებში. ლექციის შემდეგ გაიმართა დისკუსია.

ინდოეთის ელჩი სტუმრად გეომედში

უნივერსიტეტ გეომედს სტუმრობდნენ ინდოეთის ელჩი საქართველოსა და სომხეთში ნილაქში საჰა სინჰა და მეორე მდივანი სუბუ რამეში. ინდოეთის საელჩოს წარმომადგენლებს უმასპინძლეს გეომედის რექტორმა მარინა ფირცხალავამ, რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში ზურაბ ცეცხლაძემ და მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა ხათუნა მაკალათიამ.

ვიზიტის დროს ელჩი შეხვდა სტუდენტებს, მოისმინა და დაინტერესდა მათი სტუდენტური ცხოვრებით. შეხვედრა ინტერაქტიული სახის იყო: სტუდენტებმა დასვეს კითხვები, წამოჭრეს სხვადასხვა საკითხები. ვიზიტის ფარგლებში ინდოეთის ელჩი გაეცნო ასევე სასწავლო პროცესსა და უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას. შეხვედრა თბილ და საინტერესო გარემოში ჩატარდა.

ვებინარი: სწავლების თანამედროვე მეთოდები და ელექტრონული რესურსების გამოყენება აკადემიურ განათლებაში

უნივერსიტეტ გეომედის აკადემიური პერსონალი ონლაინ რეჟიმში დაესწრო Elsevier-ის ტრენერის Paula Milewska-ს მიერ ჩატარებულ ვებინარს თემაზე - Modern teaching methods and the use of e-resources in academic education. ვებინარის განმავლობაში თემატიკის მიხედვით ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ტრენერები.



ვებინარზე განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა თანამედროვე სასწავლო ინსტრუმენტებისა და ელექტრონული რესურსების როლი უმაღლეს განათლებაში, გამოწვევები და გადაწყვეტილებები არსებული ინსტრუმენტებისა და ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენებისას, გემიფიკაცია სწავლების პროცესში, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, თანამშრომლობა ბიბლიოთეკასა და ლექტორებს შორის, რაც უმნიშვნელოვანესია სასწავლო პროცესში და ა.შ. ვებინარის ბოლოს ტრენერებმა უპასუხეს დასმულს შეკითხვებს.

29 ოქტომბერს უნივერსიტეტ გეომედთან არსებული შემოქმედებითი გაერთიანება „გიმნასიონის'' ორგანიზებით გეომედის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა პრეზენტაცია თემაზე „ადამიანის ბიოველი.''

აუდიტორიის წინაშე მოხსენებით წარსდგა უნივერსიტეტ გეომედის სტომატოლოგიური ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი დავით ბაძაღუა. დავითმა ისაუბრა ენერგიის ისეთ ფორმებზე, როგორიცაა ქიმიური, ელექტრო, თერმული, სინათლის ბგერის ენერგიები, მათ შორის უმთავრეს ენერგიის წყაროზე - მზის ენერგიაზე. მან გაიხსენა დიდი მეცნიერები (ნ. ტესლა, ი. ნიუტონი, თ. იანგი, ჯ. მაქსველი, მ. პლანკი და სხვა) რომელთა ჩატარებული ცდებით მიღებულმა შედეგებმა და აღმოჩენებმა სხვადასხვა დარგის განვითარება გამოიწვია.

მოხსენების შემდეგ განხილული თემის ირგვლივ გაიმართა საინტერესო დისკუსია.

უნივერსიტეტ გეომედის პროფესორმა რევაზ ლორთქიფანიძემ გამოსცა სახელმძღვანელო ,,ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები კონკურენტული მართვის უნარებისთვის'' (სახელმძღვანელო საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის).

სახელმძღვანელოში განხილულია მიზნებზე ორიენტირებული მენეჯმენტის განვითარების პროცესი, საკუთარ უნარებზე დაფუძნებული ბიზნეს-ადმინისტრირების თეორიული საკითხები, სასემინარო-პრაქტიკული ტესტებით და ა.შ.

წიგნი განკუთვნილია საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისა და ბიზნესის ადმინისტრირების საკითხების შესწავლით დაინტერესებული მკითხველებისთვის.

6 ოქტომბერს ცერებრალური დამბლის მსოფლიო დღე აღინიშნა, რომელიც 2012 დაარსდა. ის მიზნად ისახავდა ცერებრალური დამბლით დაავადებული ადამიანების, მათი ოჯახების, მხარდამჭერებისა და ორგანიზაციების გაერთიანებას სხვადასხვა ქვეყნიდან. მოძრაობის მიზანია უზრუნველყოს მომავალი, რომელშიც ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვებსა და მოზარდებს ექნებათ იგივე უფლებები, წვდომა და შესაძლებლობები, როგორც ნებისმიერ სხვას ჩვენს საზოგადოებაში. 2024 წელს, გრძელდება ზრუნვა ცერებრალური დამბლით დაავადებული პირების ჩართვაზე სხვადასხვა სფეროში. საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობით, ცერებრალური დამბლის მსოფლიო დღე მიზნად ისახავს შექმნას უფრო ინკლუზიური საზოგადოება, სადაც ცერებრალური დამბლით დაავადებულ პირებს ექნებათ თანაბარი შესაძლებლობები.